განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სტრატეგიული კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამა

საქართველოს უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი: 27.02.2019

დასკვნის წარდგენის თარიღი: 25.03.2019

თბილისი
2019-

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს საქართველოს უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	**205037137**
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	**სტრატეგიული კომუნიკაციები**
განათლების საფეხური	**საბაკალავრო**
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	**მასობრივი კომუნიკაციის ბაკალავრი**
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	**აკრედიტებული** (1.04.2014)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თორნიკე გურული (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო)
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო შოშიტაშვილი (გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, საქართველო)
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ანჟელა აბულაძე (სტუდენტი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი)

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

სტრატეგიული კომუნიკაციების საბაკალავრო პროგრამა საქართველოს უნივერსიტეტის მოდიფიცირებული პროგრამაა. პროგრამა ადრე ფუნქციობირებდა საზოგადოებასთან ურთიერთობის საბაკალავრო პროგრამის დასახელებით.

პროგრამა შედგენილია რამდენიმე კვლევაზე დაყრდნობით. კვლევებში მოცემული მიგნებები ასახულია პროგრამაში, რაც მის ძლიერ მხარეს წარმოადგენს. პროგრამაში სასწავლო კურსები ისეა განაწილებული, რომ მათი წარმატებით გავლის შემდეგ სტუდენტებს საშუალება ექნებათ წარმატებულად დასაქმდნენ დასაქმების ბაზარზე ან გააგრძელონ სწავლა შემდეგ საგანმანათლებლო საფეხურზე. პროგრამის ძლიერ მხარეს წარმოადგენს არსებული და მოწვეული პერსონალიც, რომლის შერჩევაც განხორციელდა საქართველოში არსებული საუკეთესო რესურსის საფუძველზე. უნივერსიტეტს აქვს შესაბამისი მატერიალურ ტექნიკური ბაზა, რომელიც დაეხმარება აღნიშნული პროგრამის განხორციელებაში.

პროგრამის სუსტ მხარეს წარმოადგენს კვლევითი კომპონენტის და პროგრამის ინტერნაციონალიზაციის მიმართულებები. პროგრამაში ორივე მათგანი მხოლოდ ფრაგმენტულად არის წარმოდგენილი. მნიშვნელოვანია სტუდენტების ჩართულობა სამეცნიერო საქმიანობაში, ისევე როგორც საერთაშორისო პროგრამებში ჩართულობა და გაცვილითი პროგრამების ხელმისაწვდომობა სტუდენტებისათვის. სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების ძირითადი ნაწილი ვერ ფლობდა ინფორმაციას სამეცნიერო კვლევით საქმიანობაში ჩართულობისა და გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის შესაძლებლობების შესახებ. ასევე პროგრამის სუსტ მხარეს წარმოადგენს ცალკეული სასწავლო კურსების ლიტერატურაც, რომელიც მოძველებულია.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა 27 თებერვალს. აკრედიტაციის ვიზიტისას ექპსერტებმა შეისწავლეს არსებული დოკუმენტაცია, ჰქონდათ შეხვედრა უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან და ხელმძღვანელთან, ისევე როგორც ფაკულტეტის და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან. შეხვედრა გაიმართა მოწვეული და აკადემიური პერსონალის ნაწილთან, დამსაქმებლებთან და სტაჟირების განმახორციელებლებთან. აკრედიტაციის ვიზიტისას განხორციელდა შეხვედრა სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.

ვიზიტის დროს განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება.

ვიზიტამდე განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა უნივერსიტეტს მიაწოდა სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების სია, რომელთანაც შეხვედრა დაიგეგმა. უნივერსიტეტმა ვერ მოახერხა ცენტრის მიერ მიწოდებული სიიდან სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების შეხვედრაზე დასწრება. შეხვედრა გაიმართა უნივერსიტეტის მიერ შერჩეულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან, რის გამოც სტუდენტების და კურსდამთავრებულების შეფასებას ობიექტურობის ხარისხი შეიძლება აკლდეს.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

სანაგმანათლებლო პროგრამა მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტით გათვალიწინებულ მოთხოვნებთან. პირველი, მეოთხე და მეხუთე სტანდარტი სრულად შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებს, ხოლო მეორე და მესამე სტანდარტები მეტწილად შეესაბამებიან სტანდარტებს.

- **რეკომენდაციები**

პროგრამის გასაუმჯობესებლად ექსპერთა ჯგუფმა შეიმუშავა შემდეგი რეკომენდაციები:

1. თეორიული ცოდნის პრაქტიკაში იმპლემენტაციის უზრუნველსაყოფად პრაქტიკის კურსი უნდა იყოს სავალდებულო.
2. პროგრამის შინაარსი უნდა გამდიდრდეს მასობრივი კომუნიკაციისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის კლასიკური თეორიებით;
3. სასწავლო კურსი „საოფისე კომპიუტერული პროგრამები„ უნდა ისწავლებოდეს პირველ / მეორე სემესტრში.
4. სასწავლო კურსი „საქართველოს ისტორიის შესავალი“ განისაზღვროს პროგრამის არჩევით ნაწილში.
5. სასწავლო კურსის დაგეგმვისა და მისთვის კრედიტების მინიჭებისას გაითვალისწინონ როგორც საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათები, ასევე კურსის ფარგლებში შესასრულებელი დავალებების მოცულობის და სირთულის სწავლა-სწავლების რელევანტური მეთოდები და სტუდენტთა დატვირთულობა. ამჟამად ყველა სასწავლო კურსი 6 კრედიტიანია, მიუხედავად სტუდენტთა დატვირთულობისა.
6. ლიტერატურა გაახლდეს სილაბუსებში: გაყიდვების სტრატეგია; საჯარო გამოსვლის ტექნიკა; ივენთმენეჯმენტი; სოციალური მედიის ანალიზი; ბრენდინგი
7. დამატებითი საკითხავი მასალა დაემატოს სილაბუსებს: ჟურნალისტური ოსტატობა/ახალი ამბები; კვლევის რაოდენობრივი მეთოდების საფუძვლები; ცივილიზაცია და კაცობრიობა. რეკლამის საფუძვლები.
8. უნივერსიტეტმა უნდა გააძლიეროს საერთაშორისო თანამშრომლობა და უნდა შეუწყოს ხელი სტუდენტებს საერთაშორისო და ადგილობრივ კონფერენციებსა და პროექტებში აქტიურ მონაწილეობაში. ასევე, სტუდენტების საერთაშორისო მობილობა უნდა იყოს წახალისებული უნივერსიტეტის მხრიდან.
9. უსდ -მ გააქტიუროს მუშაობა სტუდენტების კვლევით პროექტებში ჩართვის მიმართულებით.

10. პროგრამის სწავლა-სწავლების მეთოდებიდან ამოღებული იქნას - იმიტირებული შესრულება ;

11. დაზუსტდეს სწავლების გამოყენებული მეთოდების მიმართება სწავლის განსაზღვრულ შედეგებთან, შემდეგ სილაბუსებში: გაყიდვების სტრატეგია, მარკეტინგის საფუძვლები, დემოკრატია და მოქალაქეობა, მასმედია და საზოგადოება, ფსიქოლოგიის საფუძვლები, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

მნიშვნელოვანია პროგრამის განვითარებისთვის მუდმივად მოხდეს სასწავლო კურსების შინაარსების მოდერნიზაცია. განსაკუთრებით ეს რჩევა ეხება იმ სასწავლო კურსებს, რომელიც ელექტრონული კომუნიკაციის კომპონენტებს მოიცავს. ეს მიმართულება სწრაფად ვითარდება და როგორც სასწავლო ლიტერატურა, ასევე შინაარსი მნიშვნელოვნად იცვლება.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

განმეორებითი აკრედიტაციისას გაუმჯობესდა შემდეგი მიმართულებები:

- პროგრამა განახლდა დარგისთვის აქტუალური სასწავლო კურსებით
- პროგრამის მოდიფიცირება მოხდა დამსაქმებლებისა და სტუდენტების კვლევაზე დაყრდნობით და შეიცვალა სახელწოდება და ჩამოყალიბდა სტრატეგიული კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამად
- შემცირდა არადარგობრივი სასწავლო კურსები
- მოზიდული იქნა დარგში არსებული გამოცდილი პედაგოგები მოწვეულ აკადემიურ პერსონალად

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ სტრატეგიული კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამა ნათლადაა ჩამოყალიბებული. ○ პროგრამის მიზნები შეესაბამება უმაღლესი დაწესებულების მისიას. პროგრამის ერთ-ერთ ძლიერ მხარეს წარმოადგენს ციფრული მიმართულება. რადგანაც დღეს დიდი მოთხოვნაა ბაზარზე ციფრული მედიის მიმართულებით, პროგრამა ორიენტირებულია დასაქმების ბაზარზე. ○ ცალკეული მიზნები საჭიროებენ ენობრივ დაზუსტებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ უნივერსიტეტის მისია ○ სტრატეგიული კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამა ○ პოტენციურ დამსაქმებელთა კვლევა
რეკომენდაციები: ○ წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცონდასა და უნარებს, რომელსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას. ○ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად. ○ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემებთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სტრატეგიული კომუნიკაციების საბაკალავრო პროგრამა ○ ხარისხის უწყვეტი სრულყოფის ინსტრუქცია ○ პროგრამის შედეგების შეფასების ანალიზი
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სტრატეგიული კომუნიკაციების საბაკალავრო პროგრამაზე დაშვების პროცედურები და წინაპირობები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. აკადემიური უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე (საბაკალავრო პროგრამებზე) სტუდენტთა ჩარიცხვა ხორციელდება ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების ან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №224/ნ (2011 წლის 29 დეკემბერი) ბრძანების შესაბამისად, ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლისა და პრეზიდენტის ბრძანების საფუძველზე. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებგვერდზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • *სტრატეგიული კომუნიკაციების საბაკალავრო პროგრამა;* • *ვებ-გვერდი www.ug.edu.ge* • *საბაკალავრო და სამაგისტრო სწავლების დებულება* • *თვითშეფასების ანგარიში.*
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სტრატეგიული კომუნიკაციების საბაკალავრო პროგრამა ითვალისწინებს საქართველოს უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიას. პროგრამის შინაარსი, მოცულობა და კომპლექსურობა შეესაბამება საბაკალავრო საფეხურს - სტრატეგიული კომუნიკაციების საბაკალავრო პროგრამა მოიცავს 240 კრედიტს. დარგობრივი მოდულები საშუალებას აძლევს სტუდენტებს გამოიმუშავონ დამატებითი კომპეტენციები. საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფს როგორც თავისუფალი კომპონენტების ფარგლებში, ისე მეორადი პროფესიის (მაინორის) არჩევითობას. სტუდენტებმა დამატებითი სპეციალობა შეიძლება აირჩიონ შემდეგი სპეციალობებიდან: არქეოლოგია, ინგლისური ფილოლოგია, ქართული ფილოლოგია, ხელოვნებათმცოდნეობა, აღმოსავლეთმცოდნეობა, მასწავლებლის მომზადების პროგრამა, ამერიკათმცოდნეობა, ისტორია, ჟურნალისტიკა, პოლიტიკის მეცნიერებები. პროგრამაში გათვალისწინებულია სტუდენტების დიფერენციაცია ენობრივი კომპეტენციების მიმართულებით.

პროგრამაში შემავალი სასწავლო კურსებისთვის გათვლისწინებულია წინაპირობი/წინაპირობები, რაც უზრუნველყოფს ცოდნის გრადაციას საბაზისოდან ფართომდე.

პროგრამის შინაარსი ორიენტირებულია სტრატეგიული კომუნიკაციების სფეროს ფართო ცოდნის უზრუნველყოფაზე. თუმცა არსებობს გასაუმჯობესებელი მხარეები: კერძოდ, პროგრამის შინაარსში არ არის ასახული მასობრივი კომუნიკაციის და საზოგადოებასთან ურთიერთობის თეორიულ დისკურსში გაცნობიერების კომპონენტი, რაც ერთი მხრივ უზრუნველყოფდა მისანიჭებელ კვალიფიაციასთან შესაბამისობას, მეორე მხრივ კი, სტუდენტს დაეხმარება სწორად გაიაზროს მასობრივი კომუნიკაციისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის მნიშვნელობა. ასევე, ყურადღების მიღმაა დარჩენილი საზოგადოებასთან ურთიერთობის საქმიანობის სამართლებრივი უზრუნველყოფის საკითხებიც.

შრომის ბაზრის კვლევის მიხედვით, კურსდამთავრებულებისთვის ყველაზე დეფიციტური და ამავდროულად დამსაქმებლისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია

მათ მიერ მიღებული თეორიული ცოდნების პრაქტიკაში გამოყენების უნარი. მოცემულიდან გამომდინარე, პრაქტიკის სასწავლო კურსი არ უნდა იყოს არჩევითი. სპეციფიკიდან გამომდინარე „საოფისე კომპიუტერული პროგრამების“ სასწავლო კურსის სემესტრულად განაწილება არაეფექტიანია. ასევე, არაეფექტიანია „საქართველოს ისტორიის შესავალის“ ძირითად დისციპლინად მე -7 სემესტრში სწავლება. საქართველოს უნივერსიტეტი უზრუნველყოფს პროგრამის შესახებ ინფორმაციის საჯაროობას და ხელმისაწვდომობას ვებ გვერდზე ინფორმაციის მუდმივი მიწოდებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების ანგარიში • ხარისხის უწყვეტი სრულყოფის ინსტრუქცია • სასწავლო და სამეცნიერო პერსონალის დებულება • სტრატეგიული კომუნიკაციების საბაკალავრო პროგრამა და სილაბუსები • ვებ გვერდი - www.ug.edu.ge • შრომის ბაზრის კვლევის ანგარიში • კურსდამთავრებულთა კვლევის ანგარიში • სტრატეგიული კომუნიკაციების პროგრამის დამსაქმებელთა კვლევის ანგარიში • ინტერვიუ სტუდენტებთან, დამსაქმებლებთან, პროგრამის ხელმძღვაელთან.
რეკომენდაციები: • თეორიული ცოდნის პრაქტიკაში იმპლემენტაციის უზრუნველსაყოფად პრაქტიკის კურსი უნდა იყოს სავალდებულო. • პროგრამის შინაარსი უნდა გამდიდრდეს მასობრივი კომუნიკაციისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის კლასიკური თეორიებით; • სასწავლო კურსი „საოფისე კომპიუტერული პროგრამები„ უნდა ისწავლებოდეს პირველ / მეორე სემესტრში. • სასწავლო კურსი „საქართველოს ისტორიის შესავალი“ განისაზღვროს პროგრამის არჩევით ნაწილში.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის პროგრამის სრულყოფის მიზნით, სასურველია პროგრამის შინაარსში აისახოს საზოგადოებასთან ურთერთობის სპეციფიკა არაკომერიულ და საჯარო უწყებებში.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სტრატეგიული კომუნიკაციების საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული ცალკეული სასწავლო კურსების სწავლის შედეგები შესაბამისობაშია კვალიფიკაციის დონის მოთხოვნებთან, მათი ერთობლიობა ძირითადად უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. სასწავლო კურსით განსაზღვრული სწავლის შედეგები გაზომვადია და ფასდება სტუდენტთა ცოდნის შეფასების შესაბამისი კომპონენტებითა და კრიტერიუმებით. პროგრამით გათვალისწინებული ყველა სასწავლო კურსი (გამონაკლისი - საბოლოო პროექტი საზოგადოებასთან ურთიერთობაში (12 კრედიტი)) განისაზღვრება 6 კრედიტით. რაც ექსპერტთა ჯგუფის აზრით, არ არის მიზანშეწონილი. კურსისთვის გათვალისწინებული კრედიტების მოცულობა კურსის ფარგლებში დაგეგმილი თემების, შესასრულებელი თეორიული, პრაქტიკული თუ კვლევითი დავალებების ადეკვატური უნდა იყოს, რაც პროგრამით გათვალისწინებული განსხვავებული შინაარსის და კომპეტენციების კურსებისთვის ერთიანი ვერ იქნება. ამასთან, ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ უსდ-ს აქვს ერთგვარი დათქმა - პროგრამის ყველა სასწავლო კურსი განისაზღვროს 6 კრედიტით, რაც თავისთავად შეუსაბამოა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გაანგარიშების წესთან .

სილაბუსების შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ ზოგიერთი სასწავლო კურსის ფარგლებში სტუდენტს არ აქვს საშუალება გაეცნოს დარგის უახლეს მიღწევებსა და კვლევებს, რადგან სილაბუსში მითითებულია მხოლოდ სავალდებულო ლიტერატურა. ასევე, ზოგიერთ სილაბუსში ვხვდებით მოძველებულ ლიტერატურასაც.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშფასების ანგარიში • სტრატეგიული კომუნიკაციების საბაკალავრო პროგრამა • სილაბუსები • საბაკალავრო და სამაგისტრო დებულება • განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება N3, 2007 წ. 5 იანვარი. • ინტერვიუს შედეგები პროგრამის ხელმძღვანელთან, ხარისხის მართვის სამსახურთან, მოწვეულ და აკადემიურ პერსონალთან.
რეკომენდაციები: ➢ **სასწავლო კურსის დაგეგმვისა და მისთვის კრედიტების მინიჭებისას** გაითვალისწინონ როგორც საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათები, ასევე კურსის ფარგლებში შესასრულებელი დავალებების მოცულობის და სირთულის სწავლა-სწავლების რელევანტური მეთოდები. ➢ **ლიტერატურა გაახლდეს სილაბუსებში:** გაყიდვების სტრატეგია; საჯარო გამოსვლის ტექნიკა; ივენთმენეჯმენტი; სოციალური მედიის ანალიზი; ➢ **დამატებითი საკითხავი მასალა დაემატოს სილაბუსებს:** ჟურნალისტური ოსტატობა/ახალი ამბები; კვლევის რაოდენობრივი მეთოდების საფუძვლები; ცივილიზაცია და კაცობრიობა. რეკლამის საფუძვლები.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამა, სწავლის შედეგების შესაბამისად, თეორიულ კურსებში ჩაშენებული პრაქტიკითა და პრაქტიკის დამოუკიდებელი კურსით, უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული და ტრანსფერული უნარების განვითარებას. პრაქტიკის კომპონენტი დაგეგმილი და ორგანიზებულია თანმიმდევრულად და სტრუქტურირებულად სხვადასხვა ორგანიზაციებთან მემორანდუმების საფუძველზე, სადაც სტუდენტები ერთვებიან სხვადასხვა სტრატეგიული კომუნიკაციების მიმართულებით კვლევით პროექტში, მაგ. პერიტუსი, ხატია კომუნიკაცია და სხვა, ამავდროულად, უნივერსიტეტის ბაზაზე ფუნქციონირებს UG PR CONSULTING, სადაც საკონსულტაციო კომპანია TRIFECTA-სთან გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე, სტუდენტები მონაწილეობენ სხვადასხვა პრაქტიკული რეალური კამპანიის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში. პრაქტიკის გავლის პერიოდში სტუდენტს ხელმძღვანელობას უწევს დარგის კვალიფიციური პირი, რომელიც აფასებს სტუდენტის საქმიანობას. პრაქტიკის კურსის სილაბუსში გაწერილია პრაქტიკის გეგმა.

ასევე, პროგრამის ფარგებში მიმდინარეობს ევროპის საზოგადოებასთან ურთიერთობის ასოციაციის მიმდინარე პროექტებში ჩართულობასთან დაკავშირებით მოსამზადებელი სამუშაოები(http://www.euprera.eu/what-we-do/projects/), პროექტის შერჩევა და სტუდენტთა ჩართულობის უზრუნველყოფა.

წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და ინტერვიუს შედეგების მიხედვით Erasmus + - ის ფარგლებში , საერთაშორისო გაცვლით პროექტებში მონაწილეობის მაღალი მაჩვენებელი არ გამოვლინდა. ასევე, არ გამოვლინდა სამეცნიერო კონფერენციებში სტუდენტების სისტემატური მონაწილეობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- პრაქტიკის შედეგების ამსახველი დოკუმენტაცია;
- შესაბამისი ხელშეკრულებები/მემორანდუმები ეკონომიკურ აგენტებთან და პრაქტიკის ობიექტებთან;
- Erasmus +
- UG PR Consulting
- საერთაშორისო მემორანდუმები

- Euprera.eu
- ინტერვიუს შედეგები ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, სტუდენტებთან , კურსდამთავრებლებთან.

რეკომენდაციები:

უსდ -მ გააქტიუროს მუშაობა სტუდენტების კვლევით პროექტებში ჩართვის მიმართულებით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. პროგრამის ფარგლებში აქტიურად გამოიყენება ისეთი სწავლების მეთოდები, როგორიცაა: პრაქტიკული მუშაობა, პრობლემის დასმა და

მათი გადაჭრა, კრიტიკული ანალიზი, დისკუსია -დებატები, როლური თამაშები, ლიტერატურის მიმოხილვა; პრეზენტაციის წარდგენა. სწავლებისა და სწავლის მეთოდები მეტწილად შეესაბამება კურსების შინაარსსა და სწავლის შედეგებს, თუმცა არის გასაუმჯობესებელი საკითხებიც: ➢ სტრატეგიული კომუნიკაციის პროგრამის ფარგლებში სწავლა სწავლების მეთოდის - იმიტირებული შესრულების გამოყენება ბუნდოვანია ➢ ზოგიერთ სილაბუსში სწავლა სწავლების მეთოდების კონკრეტული გამოყენება საჭიროებს დაზუსტებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების ანგარიში • სტრატეგიული კომუნიკაციების საბაკალავრო პროგრამა; • სილაბუსები • ინტერვიუს შედეგების პროგრამის ხელმძღვანელთან, მოწვეულ და აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან.
რეკომენდაციები: ➢ პროგრამის სწავლა-სწავლების მეთოდებიდან ამოღებული იქნას - იმიტირებული შერულება ; ➢ დაზუსტდეს სწავლების გამოყენებული მეთოდების მიმართება სწავლის განსაზღვრულ შედეგებთან, შემდეგ სილაბუსებში : გაყიდვების სტრატეგია მარკეტინგის საფუძვლები დემოკრატია და მოქალაქეობა მასმედია და საზოგადოება ფსიქოლოგიის საფუძვლები კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი. თითოეული სასწავლო კურსის შეფასების კომპონენტები და მეთოდები ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას და შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს, დეტალურადაა გაწერილი თითოეულ სილაბუსში შეფასების კრიტერიუმები. შეფასებასთან დაკავშირებული ინფორმაცია გამოქვეყნებულია ვებ გვერდზე და ცნობილია სტუდენტისთვის. სასწავლო კომპონენტების მაქსიმალური შეფასება შეადგენს 100 ქულას / 100%. დადებითი შეფასების მინიმალური ზღვარია მაქსიმალური შეფასების 51% - 51 ქულა; სასწავლო კომპონენტების შეფასება ხდება როგორც შუალედური, ისე დასკვნითი შეფასებებით და რეგულირებულია მინისტრის #3 ბრძანებით. სტუდენტთა შეფასება წარმოადგენს უკუკავშირის მექანიზმს. სტუდენტთა საბოლოო პროექტის შეფასება ხორციელდება ერთზე მეტი შემფასებლის მიერ, დაცვა ხდება კომისიური წესით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო და სამაგისტრო სწავლების დებულება
- ვებ გვერდი www.ug.edu.ge
- სტრატეგიული კომუნიკაციების საბაკალავრო პროგრამა
- სილაბუსები
- სტუდენტებთან , აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე,აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი • როგორც უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ჩანს და, ასევე, ინტერვიუირების პროცესში ჩატარებული გამოკითხვებით დასტურდება, სტუდენტები ღებულობენ სრულ ინფორმაციას როგორც სასწავლო პროცესის დაგეგმვის და საკუთარი პროფილის განსაზღვრის, ასევე შემდგომი დასაქმების შესაძლებლობების და პოტენციურ დამსაქმებლებთან კონტაქტების დამყარების კუთხით. • უნივერსიტეტში მოქმედებს „სტუდენტთა დასაქმებისა და კარიერული განვითარების“ სამმართველო, რომელიც აწვდის კურსდამთავრებულებს ინფორმაციას გამოცხადებული ვაკანსიების შესახებ. გარდა ამისა, ქართული უნივერსიტეტი ორიენტირებულია კურსდამთავრებულთა უნივერსიტეტში დასაქმებაზე. • სტუდენტებს ნაკლებად აქვთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა ადგილობრივი და საერთაშორისო პროექტებსა და ღონისძიებებში. ასევე, სტუდენტებს არ აქვთ შესაძლებლობა მიიღონ მონაწილეობა საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში. • უნი-ში მუდმივად ხორციელდება სტუდენტთა ყოველსემესტრული გამოკითხვა, რაც დადასტურდა ვიზიტის ფარგლებშიც. სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა თქმით, მათი რეკომენდაციები და ინიციატივები სასწავლო პროცესის გაუმჯობესების კუთხით წახალისებული და გათვალისწინებულია აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის მხრიდან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ გასაუბრება უნივერსიტეტის მმართველობასთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან; ○ სილაბუსები

რეკომენდაციები: უნივერსიტეტმა უნდა გააძლიეროს საერთაშორისო თანამშრომლობა და უნდა შეუწყოს ხელი სტუდენტებს საერთაშორისო და ადგილობრივ კონფენეციებსა და პროექტებში აქტიურ მონაწილეობაში. ასევე, სტუდენტების საერთაშორისო მობილობა უნდა იყოს წახალისებული უნივერსიტეტის მხრიდან.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათისრჩევებიპროგრამისგანვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

3.2მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი •
მტკიცებულებები/ინდიკატორები • ინტერვიუს შედეგები.

• საბაკალავრო და სამაგისტრო დებულება
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათისრჩევებიპროგრამისგანვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთამიღწევები, მათთანინდივიდუალურიმუშაობა		X		

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; მათ აქვთ შესაბამისი კვალიფიკაცია, რომელიც დასტურდება ბოლო 5 წლის განმავლობაში შესრულებული სამეცნიერო ნაშრომებით. ○ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიურ და მოწვეულ პერსოლანს შორის ბალანსი უნივერსიტეტში არსებული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიით არის განსაზღვრული
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ პირადი საქმეები ○ საკონკურსო მასალები ○ სტუდენტთა დაგეგმვის მეთოდოლოგია
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ○ უნივერსიტეტის ადმინისტრაცია ზრუნავს სამეცნიერო და კვლევითი საქმიანობის განხორციელების სტიმულირებასა და წახალისებაზე და ამ მიზნით შემუშავებული აქვს საპრემიო პროგრამა პუბლიკაციებისათვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ხარისხის უწყვეტი სრულყოფის ინსტრუქცია ○ სამეცნიერო ინსტუტის დებულება ○ სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საქმიანობის წესი
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

უნივერსიტეტს აქვს შესაბამისი მედია ცენტრი, რომელშიც სტუდენტებს საშუალება ეძლევათ ისარგებლონ შესაბამისი ტექნიკითა და კომპიუტერული პროგრამებით.

უნივერსიტეტი ქირაობს ბიბლიოთეკას და ფლობს შესაბამის ლიტერატურას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- მედია ცენტრი
- სამონტაჟო სივრცეები

○ ბიბლიოთეკა
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს. უნივერსიტეტს აქვს ბიუჯეტი და ასევე გამოყოფილია ბიუჯეტი სტრატეგიული კომუნიკაციების საბაკალვრო პროგრამისათვის. პროგრამა ფინანსურად მდგრადია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ უნივერსიტეტისა და პროგრამის ბიუჯეტი
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			

5. სწავლებისხარისხისგანვითარებისშესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი

- უნივერსიტეში მოქმედებს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც ჩართულია როგორც სასწავლო პროგრამების და სილაბუსების შემუშავებისა და სასწავლო პროცესის დაგეგმვის, ასევე მიმდინარე პროცესების მონიტორინგის, შედეგების ანალიზისა და სამომავლო რეკომენდაციების შემუშავების პროცესში.
- უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური იყენებს „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე“(PDCA)ციკლის მიდგომას. დაგეგმვის (სასწავლო პროცესის მონიტორინგი, მონიტორინგის შედეგად იდენტიფიცირებული ცალკეული საკითხების შეფასება, შედეგების ანალიზი) მიზნებისათვის ხარისხის სამსახური შეიმუშავებს მოკლევადიან და გრძელვადიან გეგმებს. განხორციელება-შემოწმება გულისხმობს ხარისხის სამსახურის მიერ პროცესების განხორციელების პერიოდულ მონიტორინგს, მათ შორის, სასწავლო პროცესის მიმდინარეობის, პროგრამით გათვალისწინებული კომპონენტების სილაბუსით გაწერილი სასწავლო აქტივობების განხორციელების, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების პერიოდულ მონიტორინგს და სხვ.

- შეფასების პროცესში გამოიყენება: პროგრამის რაოდენობრივი მაჩვენებლები; სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები; კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები; დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგები; უნივერსიტეტის პერსონალის/სხვა სამიზნე ჯგუფების გამოკითხვის შედეგები. ამასთან, თითოეული მიმართულებით მონაცემების შეგროვება და გაანალიზება ხორციელდება განსაზღვრული გონივრული პერიოდულობით, რაც გათვალისწინებულია ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმსა და ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული სამსახურის სამუშაო გეგმაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სტრატეგიული კომუნიკაციების საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამა
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუს შედეგები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან
- ინტერვიუს შედეგები ხარისხის მართვის სამსახურთან
- ინტერვიუს შედეგები პროგრამის ხელმძღვანელთან
- ინტერვიუს შედეგები აკადემიურ პერსონალთან
- ინტერვიუს შედეგები მოწვეულ პერსონალთან
- ინტერვიუს შედეგები სტუდენტებთან
- ინტერვიუს შედეგები კურსდამთავრებულებთან
- ინტერვიუს შედეგები დამსაქმებლებთან

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათისრჩევებიპროგრამისგანვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):

○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი • უნივერსიტეშიც და, კერძოდ, სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე მოქმედებს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც ჩართულია როგორც სასწავლო პროგრამების და სილაბუსების შემუშავებისა და სასწავლო პროცესის დაგეგმვის, ასევე მიმდინარე პროცესების მონიტორინგის, შედეგების ანალიზისა და სამომავლო რეკომენდაციების შემუშავების პროცესში. • უნივერსიტეტი რეგულარუად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს. ხარისხის გაუმჯობესების მიზნით სისტემატურად კეთდება სხვადასხვა სახის კვლევა, რომელიც სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას ემსახურება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სტრატეგიული კომუნიკაციების საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამა • თვითშეფასების ანგარიში • ინტერვიუს შედეგები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან

- ინტერვიუს შედეგები ხარისხის მართვის სამსახურთან
- ინტერვიუს შედეგები პროგრამის ხელმძღვანელთან
- ინტერვიუს შედეგები აკადემიურ პერსონალთან
- ინტერვიუს შედეგები მოწვეულ პერსონალთან
- ინტერვიუს შედეგები სტუდენტებთან
- ინტერვიუს შედეგები კურსდამტავრებულებთან
  - ინტერვიუს შედეგები დამსაქმებლებთან

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათისრჩევებიპროგრამისგანვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი • პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება დაინტერესებული მხარეების ჩართულობით. აღნიშნულ პროცესში მონაწილეობენ აკადემიური პერსონალი, მოწვეული პერსონალი, ადმინისტრაცია, დამხმარე პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები, პოტენციური დამსაქმებლები და სხვ. • ხელახალი აკრედიტაციის მიზნით საგანმანათლებლო პროგრამის წარმოდგენამდე განხორციელდა საერთაშორისო პრაქტიკის მოძიება და გაანალიზება, განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების შედეგების ნაწილზე, მასთან პროგრამის დისციპლინათა შესაბამისობაზე და პროფესიული პრაქტიკის არჩევითობის მაჩვენებლის გაზრდაზე, რომელიც ახალ პროგრამაში წარმოდგენილია აკრედიტაციის მოთხოვნის შესაბამისად. ○
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სტრატეგიული კომუნიკაციების საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამა • თვითშეფასების ანგარიში • ინტერვიუს შედეგები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან • ინტერვიუს შედეგები ხარისხის მართვის სამსახურთან • ინტერვიუს შედეგები პროგრამის ხელმძღვანელთან • ინტერვიუს შედეგები აკადემიურ პერსონალთან • ინტერვიუს შედეგები მოწვეულ პერსონალთან • ინტერვიუს შედეგები სტუდენტებთან • ინტერვიუს შედეგები კურსდამტავრებულებთან ○ ინტერვიუს შედეგები დამსაქმებლებთან
რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათისრჩევებიპროგრამისგანვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: შსპ საქართველოს უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: სტრატეგიული კომუნიკაციების საბაკალავრო პროგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 35

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა		X		
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

თორნიკე გურული

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

ნინო შოშიტაშვილი

ანჟელა აბულაძე